ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 06/02/17

ქ.თბილისი

7 თებერვალი 2017 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

1. „შემსყიდველი“: **სსიპ - "სსდ ცენტრი" (ს/კ: 205307960)**

1.1. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): დირექტორი- დავით ტორუა

1.2. „მიმწოდებელი“: **სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (ს/კ:202886172)**

1.3. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): **გენერალური დირექტორი:** ვასილი მენთეშაშვილი

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ (**CPV 79800000- ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები**) (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“) „შემსყიდველისათვის“ მომსახურების შეძენა. ამასთანავე, „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, ინვენტარი და ყველა საჭირო საშუალებები. მომსახურების შესყიდვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 165.00 (ას სამოცდახუთი) ლარს, რაც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ "მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

5.2. შესასყიდი ობიექტის (მომსახურების) ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „შემსყიდველის“ პირობებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიწოდება „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ.

7.2. ხელშეკრულების მომსახურების მიღება/ჩაბარებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

7.3. მიღება–ჩაბარება მოხდება: ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #117.

8. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

8.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი), „მიმწოდებლის“ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

8.2. ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს "მიმწოდებლის“მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების სრულად შესრულებისა და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.2. უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისთვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

9.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე გააფორმოს მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი 3 (სამი) ეგზემპლარად.

9.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.5. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიწოდება.

9.6. „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.7. თვითონ ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლად განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელებული შესყიდვის მომსახურების ხარისხის შემოწმება.

9.8. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ მომსახურების განხორციელების შესახებ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება.

9.9. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.10.მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) დადგენილ ვადაში;

9.11.წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესყიდვის მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

9.12.საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

9.13.მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს „შემსყიდველს“ განხორციელებული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რის შემდეგ მხარეები გააფორმებენ შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

9.14.დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელი პირობების შესახებ.

9.15.წინამდებარე ხელშეკრულების პერიოდში სუბკონტრაქტების გაფორმების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

9.16.„მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.17.მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

10. უფლებების გადაცემა

10.1. „მიმწოდებელს“ უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

11. ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებს პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით მიაწოდოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. შეტყობინება

13.1. ნემისმიერი შეტყობინება, მხარეებს გაეგზავნებათ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემობებთან დაკავშირებით.

14.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის სახით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეები პირგასამტეხლოს სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%–ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

15.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

16.1. მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

16.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, მითითებული უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი მოქმედების ვადა.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4. მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

17. ფორს–მაჟორი

17.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტრიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

17.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

18. დავების გადაწყვეტის წესი

18.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე.

18.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

19.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

19.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

19.3. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

19.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის მომსახურების ხარისხის, რაოდენობისა და განხორციელების ვადების კონტროლი.

19.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის მომსახურების მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)ს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

20. დასკვნითი დებულებანი

20.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

20.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

20.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

20.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

20.5. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედაგად.

20.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

20.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზამპლარად (4 გვერდზე), ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი – „მიმწოდებელთან".

21. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ **„სსდ ცენტრი"**
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144
ფაქტიური მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #117
დაფინანსების წყარო:
საკუთარი შემოსავლები;
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი -350106

დავით ტორუა

"მიმწოდებელი"
სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
ს/კ: **202886172**
იურიდიული მისამართი:
თბილისი, ძველი თბილისი რაიონი,
მარჯანიშვილის ქ., №5
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბ/კ REPLGE22
ა/ა GE16BR0000010277880250

ვასილი მენთეშაშვილი

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე

გ. ტარუღიშვილი

ვ. ჭანიშვილი

გ.აბულაძე

შემსრულებელი:
ლ.თავაძე

ქ.თბილისი

07 თებერვალი 2017 წ.

ერთი მხრივ, „მიმწოდებელმა“ **სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი** წარმოდგენილი [illegible] სახით და მეორე მხრივ, „შემსყიდველმა“ **სსიპ „სსდ ცენტრი“** წარმოდგენილი [illegible] სახით, ჩვენს შორის 2017 წლის 7 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების **N 06/02/17** საფუძველზე გავაფორმეთ შესაბამისი

მიღება-ჩაბარების აქტი N 06/02/17 -1

ამ აქტით ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 165.00 (ას სამოცდახუთი) ლარს.

„შემსყიდველი“ ______________________

„მიმწოდებელი“ ______________________

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0287238101

2	07/02/2017

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	15:11:01

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი	202886172
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	205307960
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N 5

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	თბილისი, წერეთლის გამზ. №144

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი
	ტრანსპორტირების სახე

10	X
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ჟურნალი N 7	7	ცალი	1.0000	18.0000	18.0000
2	ჟურნალი N 14	14	ცალი	1.0000	20.0000	20.0000
3	ჟურნალი N 16	16	ცალი	1.0000	20.0000	20.0000
4	ჟურნალი N18	18	ცალი	1.0000	22.0000	22.0000
5	ჟურნალი N 22	22	ცალი	1.0000	22.0000	22.0000
6	ჟურნალი N 29	29	ცალი	1.0000	22.0000	22.0000
7	ჟურნალი N 31	31	ცალი	1.0000	18.0000	18.0000
8	ფორმა N 15	15	ცალი	1.0000	1.0000	1.0000
9	ჟურნალი N 24	24	ცალი	1.0000	22.0000	22.0000

13	165 - ას სამოცდახუთი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის ძირითადი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით